# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/3 "16" იანვარი 2023 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის №1/6 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 4100 ლარი;
ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 4025 ლარი;
გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 3885 ლარი;
დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 3745 ლარი;
ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 4310 ლარი;
ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 4170 ლარი;
ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 4030 ლარი;
თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 4310 ლარი;
ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 4030 ლარი;
კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 4310 ლარი;
ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 4030 ლარი;
მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 3540 ლარი;
ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 3260 ლარი.".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი